საქართველოს ხელისუფლების რიტორიკა „სამხრეთ ოსეთში“ მოსალოდნელი „რევოლუციის“ შესახებ და ოსი სეპარატისტების საპირისპირო ღონისძიებები

შოთა ვადაჭკორია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტების ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ: 1) ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებზე პრეტენზიების მოხსნის სანაცვლოდ (მალტის გარიგება 1989 წლის 2-3 დეკემბერი), სსრ კავშირის შემადგენლობაში დარჩენილ რესპუბლიკებზე მ. გორბაჩოვისადმი შეუზრუდავი უფლებების მიცემა, მაქსიმალურად გათვალისწინებას საჭიროებდა. არსებული რეალობა, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს მაკიაველიზმისა და ტალეირანის მეთოდების სინთეზით დატვირთული პოლიტიკური კურსის გატარებას ავალდებულებდა.

1. ი. ოქრუაშვილის მხრიდან ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში “კუნთების თამაშით” ოს სეპარატისტებზე ზემოქმედების მცდელობა, ოს-ქართველთა განახლებულ საომარ მოქმედებებში რუსეთის ჩართულობის მაღალი ალბათობიდან გამომდინარე შეცდომას წარმოადგენდა.

საქართველოს ხელისუფლებისგან როკის გვირაბის ჩამკეტი ან მასზე კონტროლის მექანიზმის ამოქმედების მუქარანარევი ოფიციალური განცხადებები, საზოგადოებაზე იდეოლოგიურ-ფსიქოლოგიურ ზემოქმედებად და გარკვეული დოზით, ოსი სეპარატისტებისადმი თავდაცვითი ღონისძიებების გატარებაზე ბიძგის მიმცემ ფაქტორად უნდა შეფასდეს.

2. „სამხრეთ ოსეთის” თავდაცვის მინისტრის ა. ბარანკევიჩისგან ცხინვალზე ქართული ჯარის ზამთარში თავდასხმის გეგმის გახმოვანება და ამ ფაქტისადმი საქართველოს შესაბამისი უწყების დუმილი, ლეგიტიმურ კითხვებს აჩენს: ა)აღნიშნული ბრალდებითი გეგმა, რუსი სამხედროების მიერ იყო შედგენილი და ოს-ქართველთა მოლაპარაკებების ჩიხში შეყვანას ისახავდა მიზნად თუ ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტიდან მოიპარეს. ამ კითხვებზე დასაბუთებული პასუხის გაცემის აუცილებლობას, გაეროს 61-ე სესიაზე მ. სააკაშვილის მიერ ოსი სეპარატისტების წინააღმდეგ საომარი მოქმედებების შესაძლო დაწყების გახმოვანების ფაქტი იძლევა.

3. საქართველოს ხელისუფლების საომარი რიტორიკა დაედო საფუძვლად ოსი სეპარატისტებისგან “სახალხო ლაშქარის” შექმნას და ცხინვალის გარშემო სტრატეგიული სიმაღლეების დაკავებას. იმავე რეგიონში თავისუფლად მოქმედი აცამაზ კოჩიევის კრიმინალური დაჯგუფების “აბარონას” და სხვათა დანაშაულებრივი ქმედებების შესასწავლად, საქართველოს წარმომადგენლებისგან ქართულ- ოსური ორმხრივი საგამოძიებო კომისიის შექმნაზე, ოსი სეპარატისტებისგან კატეგორიული უარი, სიმართლის არდადგენაზე და ოსური საზოგადოების წინაშე ქართული მხარის ცალმხრივად დადანაშაულების შესაძლებლობის დატოვებაზე იყო გათვლილი.

GEORGIAN GOVERNMENT RHETORIC ON THE EXPECTED REVOLUTION IN SOUTH OSETIA AND THE RESPONSE OF OSETIAN SEPARATISTS

Shota Vadachkoria
Professor of GTU

SUMMARY

Based on the analysis of the facts we have outlined above we can draw the following conclusion: 1) In exchange for the removal of claims from the Baltic States and Warsaw Pact members (Malta Agreement of 2-3 December 1989), the granting of unlimited rights of M. Gorbachev over the republics that remained within the USSR was a noteworthy fact The existing reality obliged representatives of the Georgian government to pursue a political course filled with a synthesis of Machiavellianism and Talleyrand’s methods.

I. Okruashvili’s attempt to influence the Osetian separatists through ‘showing off muscles’ with regard to the Tskhinvali region was a mistake because of the high probability of Russia’s engagement in the relaunch of Ossetian-Georgian military operations.

Official statements of the Georgian government about the threat to close the Rock Tunnel or to introduce a control mechanism should be regarded as an ideological and psychological influence on society and, to a certain extent, as a factor giving impetus to the implementation of defence measures against the Osetian separatists.

2. Announcement of the plan of attack of the Georgian army on Tskhinvali in winter by the Minister of Defence of ‘South Ossetia’ A. Barankevich and silence of the relevant Georgian department on this issue raises

legitimate questions: a) was this compromising plan drawn up by the Russian military aiming at stalling Ossetian-Georgian negotiations or b) was it stolen from the relevant department of the Ministry of Defence of Georgia?

Argumented answer to these questions is given by the fact that M. Saakashvili voiced possible start of military operations against Osetian separatists at the 61st session of the UN.

3. Military rhetoric of the Georgian government served as a basis for creation of a 'people's army' of Osetian separatists and occupation of strategic heights around Tskhinvali.

Categorical refusal on the part of Ossetian separatists to create a Georgian-Ossetian bilateral investigative commission of Georgian representatives to investigate criminal activities of criminal group of Azamaz Kochiev 'Oborona' freely acting in the same region and others' criminal actions aimed at obstructing establishment of the truth and reserving the possibility for the Ossetian society of unilateral accusation of the Georgian side.

* * * *

სამხრეთ კავკასიის გეოსტრატეგიულ სივრცეში საქართველოს განსაკუთრებული როლი, მის უსაფრთხოებას ყოველთვის კითხვის ქვეშ აყენებდა. XX საუკუნის დასასრულს და XXI საუკუნის დასაწყისში რეგიონისადმი ინტერესის გაზრდამ და პოტსაბჭოთა სივრცეზე რუსეთის მხრიდან სამხრეთ კავკასისათან მიმართებაში- "ჩემს კუთვნილებას წარმოადგენს"- პრეტენზიული პრინციპით მოქმედებამ, საქართველო უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა. მითუმეტეს, ქვეყანას ორი კონფლიქტური რეგიონი ქონდა, რის გამოც, მისი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება სათუო გახდა. სამხრეთ კავკასიაში რუსეთის იმპერიული ამბიციების მიმართ, დასავლეთ ევროპის ქვეყნების მხრიდან სიტყვიერი "აღშფოთების" გარდა, იმ ეტაპზე რეალური მექანიზმების გამოყენების არანაირი იმედი არ არსებობდა. შექმნილი პოლიტიკური კონიუნქტურა, საქართველოს ხელისუფლებას მაკიაველიზმისა და ტალეირანის დიპლომატიური მეთოდების სინთეზით დატვირთული პოლიტიკური კურსის გატარებას ავალდებულებდა. ამის შესახებ გენერალი ოთარ შალიკაშვილი ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იან წლებში გამაფრთხილებელი ფორმით ამბობდა: "უნდა გესმოდეთ, რომ დასავლეთის მზადყოფნა, დაიცვას საქართველო რუსეთის იმპერიული რევანშიზმისგან, ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე ბალტიისპირეთის მიმართ. დასავლეთი არ დაგეხმარებათ არც სამხედრო ტექნიკით, არც ინსტრუქტორებით. ჰუმანიტარულ დახმარებასაც საქართველო ძირითადად შევარდნაძის ფაქტორის გამო იღებს. თქვენ გრჩებათ ერთი გზა, თავად უნდა მოაგვაროთ ურთიერთობა რუსეთთან, აფხაზებთან და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ოსებთან. თუ ამას ვერ შეძლებთ, რუსეთთან პირისპირ დარჩებით, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დაიკარგება საქართველოსთვის და თვით საქართველოს დამოუკიდებლობაც დიდი საფრთხის ქვეშ დადგება... უნდა გვესმოდეს, რომ ეს უხილავი ნითელი ხაზები ცვალებადია ჩვენს დინამიკურ დროში. მოვლენების სასიკეთოდ განვითარების შემთხვევაში, საკმაოდ მალე, შეიძლება აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებიც ისეთივე განუყოფელი ნაწილი გახდეს დასავლეთისა, როგორც დღეს გაერთიანებული გერმანიაა. შემდეგ კი, თვით რუსეთში სასიკეთო ცვლილებების კვალობაზე, შეიძლება საქართველოც აღმოჩნდეს იმ საიმედო წითელი ხაზებით შემოვლებული, რომელთაც აღარავინ შელახავს. "[1] ეს საყურადრებო გაფრთხილება, საქართველოს ყველა პოლიტიკური ლიდერისთვის გასათვალისწინებელი უნდა ყოფილიყო. მითუმეტეს, იმ ეტაპზე ოთარი და მისი ძმის ჯონ-მალხაზ შალიკაშვილიების სამსახურებრივი თანამდებობებიდან გამომდინარე, მათთვის უდაოდ ცნობილი იქნებოდა აშშ- ის პრეზიდენტის ჯ. ბუშის (უფროსი) და სსრკ- ის პრეზიდენტის მ. გორბაჩოვის მალტის 1989 წლის 2-3 დეკემბრის შეთანხმების ძირითადი პირობები.

სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ აღნიშნული გარიგების საფუძველზე, საბჭოთა რუსეთმა, ბალტიისპირეთისა და ვარშავის ხელშეკრულებების მონაწილე სახელმწიფოების მიმართ ყოველგვარი სახის პრეტენზიები მოხსნა. სანაცვლოდ პოტსაბჭოთა სივრცის დანარჩენი რესპუბლიკების შენარჩუნებაზე სრული თანხმობა და მხარდაჭერა მიიღო. ისიც ცნობილია, რომ საბჭოთა ტერიტორიის მთლიანობის დამრღვევი რესპუბლიკებისადმი (ბალტიისპირეთის გარდა) რუსეთის ხელისუფლებას მკაცრი ღონისძიებების გატარების უფლებები ეძლეოდა. [2] ეს იმას ნიშნავდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, რუსეთის ხელისუფლებას "მეამბოხე რესპუბლიკების" დასასჯელად ნებისმიერი ინსტრუმენტის ამოქმედება შეეძლო და დასავლეთის მხრიდან მხოლოდ ყრუ დუმილის ფორმის დამოკიდებულებას მიიღებდა. Eეს რეალობა იყო ჩადებული იმ გაფრთხილებაში, რომელიც გენერალმა ოთარ შალიკაშვილმა გააკეთა. Gგამორიცხული არაა, ამ გარიგების შესახებ ედუარდ შევარდნაძეც საფუძვლიან ინფორმაციას რომ ფლობდა. Aამ რეალობაზე უნდა ყოფილიყო მის მიერ 1992 წელს გაკეთებული გამაფრთხილებელი განცხადება: "ბეწვის ხიდით უნდა გადავატაროთ საქართველო უფსკრულზე, ჩვენი დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა რომ გადავარჩინოთ. Aამისთვის კი ფილიგრანული საგარეო პოლიტიკის გატარება არის საჭირო. " ე. შევარდნაძის ეს გაფრთხილება XXI საუკუნის საქართველოს ხელისუფლებისთვისაც სახელმძღვანელო უნდა გამხდარიყო, რადგან

რუსეთთან მიმართებაში, დასავლეთი ისევ წაჯექ-უკუჯექის და არწყეინების კურსის გატარებას ეწეოდა. სამწუხაროდ, "ახალგაზრდა რეფორმატორებისთვის" ეს რეალობა მიუღებელი აღმოჩნდა. Mმხედველობაში გვაქვს აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში საქართველოს მმართველი წრეების ხისტი და "კუნთების თამაშის" პოლიტიკური კურსი. Aამის საუკეთესო დადასტურებას, საქართველოს მაშინდელი თავდაცვის მინისტრიეს ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გაზეთ "მთელი კვირას"-ადმი 2005 წლის ივლისში მიცემული ინტერვიუ წარმოადგენს. ჟურნალისტის შეკითხვაზე- კონფლიქტის მოგვარება მისი პროგნოზით რამდენად იყო გრძელვადიანი, ი. ოქრუაშვილმა უპასუხა: "ჩვენ ძალიან დიდი დრო დავკარგეთ- დაახლოებით 15 წელი. Aმიტომაც ხშირ შემთხვევაში ვიღებთ არაორდინალურ გადაწყვეტილებებს და ვჩქარობთ. ბალტიისპირეთი და საქართველო ერთი და იგივე საწყის წერტილებში იდგნენ. მათ გაიარეს საკმაოდ დიდი გზა და ჩვენ ისევ ამ გზაზე ვდგევართ ახლა და ნულიდან ვიწყებთ ყველაფერს. ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, ველოდოთ, როდის მოვა ისეთი ხელისუფლება "სამხრეთ ოსეთში" ან აფხაზეთში, რომელიც საქართველოს ხელისუფლებისა და ხალხისადმი კეთილგანწყობილი იქნება... ...ცხინვალისა და აფხაზეთის კონფლიქტის შენარჩუნება ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას. ამიტომაც საჭიროა ფორსირებული მოქმედება. "[3] ამ შემთხვევაში, იგი ძალისმიერი მეთოდის გამოყენებას აძლევდა უპირატესობას. Eეს შეხედულება მან 2006 წელს გაკეთებულ ინტერვიუში კიდევ უფრო გააღრმავა. გაზეთ "ჯორჯიან თაიმსის" კორესპოდენტის ფრიდონ დოჩიას მიერ გიორგი ხაინდრავასადმი ამ საკითხთან მიმართებაში დასმულ შეკითხვაზე - "ირაკლი ოქრუაშვილმა კვლავაც გაიმეორა, რომ 2007 წლის პირველ იანვარს ცხინვალში შეხვდება"... ...გ. ხაინდრავამ იმავე ჟურნალისტს უპასუხა: "ამ შემთხვევაში სახელმწიფო ინტერესი მაინტერესებს... სახელმწიფო შესაძლებლობიდან გამომდინარე თუ არსებობს რაიმე გადაწყვეტილების მიღების და განხორციელების გზა. ჩვენ ეს უნდა ვიცოდეთ, ხოლო ცალკეული პიროვნებები რას, როგორ ფიქრობენ და ახალი წლის ღამეს ვის სად უნდა ყოფნა, ეს მისი პირადი საქმეა. "[4]

გ. ხაინდრავას ეს შეფასება სავსებით მისაღებია თუნდაც იმ ელემენტერული ჭეშმარიტების გამო, რომ სახელმწიფოს უმაღლესი ეშელონების თანამდებობის მქონე პიროვნება (ი. ოქრუაშვილი), ქვეყნის სამომავლო გეგმების, თუნდაც ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად შესაძლო ოპერაციის დაწყების საიდუმლოების შენახვას არ ახდენდა და უცხო ქვეყნის შესაბამისი უწყებისთვის ადვილად ხელმისაწვდომს ხდიდა. მეორე მხრივ, თავდაცვის მინისტრის რანგში ასეთი საპასუხისმგებლო განცხადების გაკეთების შემთხვევაში, მოსალოდნელი შედეგების ყველა ვარიანტი- დადებითი და უარყოფითი, ქვეყნის შესაბამის უწყებას საფუძვლიანად უნდა ქონოდა გაანალიზებული და სამხედრო სპეციალისტების მხრიდან, მაღალ აკადემიურ დონეზე შედგენილი გეგმაც ყოფილიყო დამტკიცებული. იმ პერიოდის დოკუმენტური მასალის შესწავლიდან და შემდეგი პერიოდის მიმდინარე პროცესებიდანაც ირკვევა, რომ ასეთი სახის წინასწარი სამუშაო ი. ოქრუაშვილის უწყებას ჩატარებული არ ჰქონდა. საგაზეთო ინტერვიუებით გაკეთებული მისი ყოველი განცხადება, პიარსა და ოს სეპარატისტებთან მიმართებაში ჰიბრიდული ომის გაუაზრებელი იდეოლოგიური ზემოქმედების დატვირთვის მატარებელი იყო. აქედან გამომდინარე, მისადმი გამოხმაურებების დიდი ნაწილი, კრიტიკით დამძიმებულ შეფასებებს შეიცავდა. ამ საკითხთან მიმართებაში პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალებიდან, განსაკუთრებულ ყურადრებას ექს-პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პოზიცია იქცევს. მხედველობაში გვაქვს გაზეთ "ჯორჯიან თაიმსის" კორესპოდენტ მაია მარგველიანისადმი მიცემული ინტერვიუ. "ჩვენები რომ ამბობენ პირველ იანვარს ცხინვალში ვიქნებიო და თუ ვერ შევლენ - განაცხადა ე. შევარდნაძემ, - გამოვა, რომ სიტყვა გატეხეს. მერე მათ სიტყვას რაღა ფასი ექნება? და თუ საქმე აქამდე მივა, დამარცხება გარდუვალია. ამიტომ გამოსავალი უნდა მოიძებნოს. მიუხედავად იმისა, რომ რუსები ასე საზიზღრად იქცეოდნენ აფხაზეთში, ჩემსა და პუტინს შორის ურთიერთობა ყოველთვის ნორმალური იყო." ამ ამონაწერში გატარებული თვალსაზრისი აშკარად მიანიშნებს თუ რა მძიმე სიტუაციის წინაშე დააყენა ი. ოქრუაშვილის ზემოარნიშნულმა განცხადებამ საქართველოს ხელისუფლება. სამწუხაროდ, მ. სააკაშვილსა და მის გარემოცვას, სიღრმისეულად არ ჰქონდათ გააზრებული თუ რა უბედურების მომტანი იქნებოდა საქართველოსთვის ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტში რუსეთის შეიარაღებული ძალების აქტიური ჩართულობის შედეგი. არადა, რუსეთის მაშინდელი მმართველი წრეები ყველაფერზე იყვნენ წამსვლელნი. ამის შესახებ იმავე ინტერვიუში ე. შევარდნაძე დამაჯერებელი ფორმით ამბობდა: "ყველაზე მეტად რუსეთის თავდაცვის მინისტრის ივანოვის გამოსვლა მაშინებს, რომელმაც განაცხადა, რომ რუსეთი საკუთარი მოქალაქეების ინტერესებს დაიცავს.

აფხაზეთში თითქმის ყველა რუსეთის მოქალაქეა, ისე როგორც ცხინვალში. რამე რომ გართულდეს, ვინ დაუშლის რუსეთს თავისი მიზნის განხორციელებას. ომის განახლება უბედურება იქნება. ამერიკა როგორ დაგიცავს, ომს გამოუცხადებს რუსეთს? შეიძლება საპროტესტო ნოტა დაწეროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ თვითონ ამერიკასაც არ გააჩნია რუსეთზე ზემოქმედების ბერკეტები, გარდა ომისა. ამერიკა კი ომს არ დაიწყებს, ეს ფაქტია.

სხვათა შორის გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღევანდელი რუსეთი ის კი აღარ არის, რაც წლების წინ იყო. ძალიან მოძლიერდა. თავისი სიძლიერით ის თითქმის ამერიკის საპირწონედ ითვლება. "[5]

ე. შევარდნაძის ინტერვიუდან ჩვენს მიერ მოტანილი ეს ამონაწერი, უბრალო მოსაზრებას კი არა, სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი გაფრთხილებასაც შეიცავდა. იგი განსაკუთრებით იყო ანგარიშგასაწევი იმ თვალსაზრისით, რომ ე. შევარდნაძემ ყველაზე მეტად იცოდა რუსეთის სახელისუფლებო შტოთა პოლიტიკური სამზარეულოს ყველა ნიუანსი. აქედან გამომდინარე, მისი პიროვნების მოწონება-არმოწონების მიუხედავად, ზემოაღნიშნული მისი შეგონებითი ფორმა ანგარიშგასაწევი იყო და ბუნებრივია, საომარი რიტორიკის ნაცვლად, მ. სააკაშვილის ხელისუფლებას, მოქნილი დიპლომატიური კურსისადმი უნდა მიეცა უპირატესობა. ასეთი ნაბიჯის გადადგმა, პოლიტიკაში დაბრძენებული და ცივი გონებით მიმღები გადაწყვეტილებების შემძლე ადამიანებისგან იყო მოსალოდნელი. რაც შეეხება ე. წ. "რეფორმატორების" ნიღბით ხელისუფლებაში მოსულ ახალგაზრდებს, ისინი ზედაპირული აზროვნებითა და ილუზიების ტყვეობაში მოქცეულნი ეწეოდნენ "პოლიტიკური ჭრა-კერვის" ფუნქციის შესრულებას. ვერ აცნობიერებდნენ იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც მათ ეკისრებოდათ ქვეყნისა და ერის სამომავლო ბედის წინაშე. ერთხელ ამოჩემებული თუნდაც მცდარი შეხედულების შეცვლა სირცხვილად მიაჩნდათ და ქვეყნის უფსკრულში ჩანარცხებას არაფრად დაგიდევდნენ. მხედველობაში გვაქვს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში ძალისმიერი კურსის გატარების მიზანშეწონილობის პროპაგანდა. ამის ერთ- ერთ თვალსაჩინოების მაგალითს, მაშინდელი პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ნიკა რურუას მიერ გაზეთ "რეზონანსის" კორესპოდენტ თამთა ქარჩავასადმი მიცემული ინტერვიუ წარმოადგენს. "საქართველო- განაცხადა მან,- თავის სახელმწიფოში ვერ აიტანს უკონტროლო ტერიტორიებს, რამდენადაც ეს საფრთხეს უქმნის მთლიანად სახელმწიფოს. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, რომელიც დამტკიცებულია, მითითებულია სახელმწიფოს წინაშე არსებული კონკრეტული საფრთხეები. ერთ-ერთი ასეთი საფრთხე, რომელიც სახელმწიფოს და მის არსებობას ემუქრება, არის უკონტროლო ტერიტორიები. ეს საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ევროპასაც და ასევე რუსეთს, რომელიც აბსოლუტურად დაბნეულია. რუსეთი ერთის მხრივ აგრესიულ სეპარატიზმს ებრძვის ჩეჩნეთში, მეორე მხრივ, ახალისებს ჩვენს ტერიტორიაზე. ესაა გაორებული ქვეყნის პოლიტიკა, რომელიც მათ ცუდათ შემოუბრუნდებათ. "

მართალია, ქვეყანაში არსებული სეპარატიზმი და მისგან განპირობებული უკონტროლო ტერიტორიების არსებობა, საფრთხის შემცველი და მიუღებელია, მაგრამ არსებითი მნიშვნელობა ეძლევა ამ პრობლემის მოგვარების ფორმას. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩრდილოეთის მეზობელი ქვეყანა, ორპიროვანი იანუსისთვის დამახასიათებელ პოლიტიკურ კურსს ატარებდა საქართველოსთან მიმართებაში. ამ ფონზე ძნელი იყო იმის პროგნოზირება, ჰიბრიდული ომის ხისტი თუ რბილი ძალის პოლიტიკას განხორციელდებოდა იგი. აქედან გამომდინარე, როგორც ე. შევარდნაძე ამბობდა, "ფილიგრანული საგარეო პოლიტიკის გატარება" იყო საჭირო საქართველოს მხრიდან, რომ ქვეყანა ბენვის ხიდზე გადაეტარებინათ და უფსკრულში არ ჩაეჩეხათ. სამწუხაროდ, ამის მოაზრება მაშინდელი საქართველოს მმართველი წრეების რიგებში არ შეინიშნებოდა. მათი ყოველი ქმედება და საჯაროდ გახმოვანებული რადიკალური განცხადებები, კონფრონტაციისკენ იყო მიმართული და სამშვიდობო პროცესის ჩიხში შეყვანას ემსახურებოდა. მართალია, ცხინვალის რეგიონში როკის გვირაბის მეშვეობით საქართველოს სახელმწიფოს და მისი ტერიტორიის მთლიანობის საწინააღმდეგოდ ამხედრებული ოსი სეპარატისტების ყოველმხრივი მომარაგება რუსეთიდან დაუბრკოლებლად ხდებოდა, მაგრამ მისი შემაჩერებელი მექანიზმის შემუშავება-ამოქმედებაზე ზრუნვა, გასაიდუმლოებულ ფორმებში უნდა განხორციელებულიყო. რაც შეეხება მათი მხრიდან ინტერვიუების სახით გაკეთებულ რადიკალურ განცხადებებს, იგი "დაუდეგარი პოლიტიკოსის" ნააზრევს წარმოადგენდა და მხოლოდ პიარზე, ფართო საზოგადოებაზე გარკვეული იდეოლოგიურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენის ეფექტურობაზე იყო გათვლილი. ამის ერთ- ერთ ნიმუშად მაშინდელი პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მიერ გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" კორესპოდენტ მარინე კვარაცხელიასთან გაკეთებული განცხადება წარმოადგენს. მისი თქმით, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებისთვის საჭირო იყო აღნიშნული საკითხის "მკვდარი წერტილიდან" დაძვრა. "ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ეს საკითხი. თუ ვერ მივიღებთ შესაბამის მხარდაჭერას, საჭიროების შემთხვევაში, საკითხი მოგვარდება ძალისმიერი ოპერაციის მეშვეობით. "[6]

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტები, რომელიც მაშინდელი ქვეყნის მმართველი პოლიტიკური პარტიის ლიდერების ოფიციალურ საჯარო განცხადებებს წარმოადგენს, ოსი სეპარატისტების ხელმძღვანელობას გარკვეული თავდაცვითი ღონისძიებების გატარებისკენ უბიძგებდა. ამის უდაო დადასტურებას "სამხრეთ ოსეთის" მაშინდელი თავდაცვის მინისტრის ანატოლი ბარანკევიჩის მიერ "ნეზავისიმაია გაზეტასადმი" მიცემული ინტერვიუ წარმოადგენს. მისი მტკიცებით, ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში ქართველების წასაქეზებლად განსა-

კუთრებულ როლს უკრაინა, ბულგარეთი და ჩეხეთი ასრულებდნენ, რადგან ისინი ქართველებს იარაღის მიწოდებით ეხმარებოდნენ. იმავე ინტერვიუში ა. ბარანკევიჩი ქართული სამხედრო შენაერთების მოსალოდნელი საბრძოლო ოპერაციის გეგმასაც ასაჯაროებდა. "ქართული ქვედანაყოფები- ამბობდა იგი,- დასაწყისში როკის გვირაბის დაპყრობას აპირებენ, რომლის გავლითაც ცხინვალი მარაგდება. შემდეგ ტრანსკავკასიური მაგისტრალის ერთი მხრიდან გადაკეთვას გეგმავენ. ანუ, აპირებენ ცხინვალის ბლოკადას, იმიტომ, რომ ქალაქის პირდაპირ აღება შეუძლებელია. ამის შემდეგ ეცდებიან რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენი დედაქალაქის აღებას და სამხრეთ ოსეთის დანარჩენ ტერიტორიაზე კონტროლს დააწესებენ... ვთვლი, რომ თუ თბილისმა მაინც დაიწყო თავისი საომარი სცენარის რეალიზება, მაშინ რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს ამ მოვლენების მიღმა. პირადად მე დარწმუნებული ვარ რუსეთი ამას გვერდს არ აუვლის. ამ აზრისაა ჩვენი რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ყველა ოფიცერი და მოსახლეობის ძირითადი ნაწილი."[7]

ქართული სამხედრო შენაერთების ცხინვალის რეგიონში მოქმედების სავარაუდო საბრძოლო მარშრუტების ა. ბარანკევიჩის მხრიდან გახმოვანება შემთხვევითობას არ შეიძლება მიეწეროს. მხედველობაში გვაქვს რუსულ პრესაში- "ნეზავისიმაია გაზეთას" დამატებაში "ნეზავისიმოე ვოენნოე ობოზრენიე"- ში დაბეჭდილი ცხინვალისა და სოხუმის წინააღმდეგ საქართველოს სამხედრო შეიარაღებული ძალების მოქმედების დეტალური გეგმა. იმავე გაზეთში დაბეჭდილი მონაცემების მიხედვით, საბრძოლო მოქმედებების დაწყებას ქართული მხარე ზამთარში აპირებდა. გაზეთის "მტკიცებით", საქართველოს ხელისუფლების 2004 წლის ზაფხულის სამხედრო ოპერაციის ჩავარდნის შემდეგ, "სააკაშვილს კვლავ აჩეჩებენ "ბლიცკრიგის" გეგმებს, რომელთა მიხედვითაც სოხუმი და ცხინვალი ისევე სწრაფად დაეცემიან, როგორც თავის დროზე ბათუმი დაეცაო... საქართველოს მილიტარიზაცია სწრაფად ხდება. სამხედრო ტექნიკის და შეიარაღების შესყიდვები არნახული ტემპით მიმდინარეობს."

რაც შეეხება "სამხრეთ ოსეთში" "ბლიცკრიგის" სცენარის განხორციელებას, ზემოაღნიშნულ გეგმაზე დაყრდნობით სამხედრო ექსპერტი, პოლკოვნიკი ანატოლი ციგანკოვი ორ ძირითად ვარიანტზე ამახვილებდა ყურადღებას.

ვარიანტი I: ა)საქართველოს სპეცდანიშნულების ცალკეული ბატალიონი, რომლის გადასროლა ვერტმფრენებით განხორციელდებოდა, სოფელ ჯავასა და როკის გვირაბს შორის გზას გადაკეტავდა. იმავდროულად სოფ. ჯავას რაიონში ტრასაზე კონტროლსაც განახორციელებდა. ამ ამოცანას მე-16 მოტომსროლელი ბატალიონი შეასრულებდა; ბ) ქალაქ ცხინვალის გარშემო ორი შემოვლითი გზის გაკონტროლების მიზნით გამოიყენებდნენ კასპის მახლობლად დისლოცირებულ მე-9 ქართულ სპეცბატალიონს; გ)ცხინვალზე საიერიშოდ გამოყენებული იქნებოდა ქართული არმიის მე- 6, მე- 11 და 21- ე ცალკეული მექანიზებული ბრიგადები. ბრძოლაში ჩაბმული იქნებოდა გორში განლაგებული სატანკო ბრიგადა. პარალელურად, სახმელეთო ჯარების მოქმედებისადმი მხარდასაჭერად საზენიტო-სარაკეტო ბრიგადა იქნებოდა გამოყენებული; დ)სახმელეთო დაჯგუფება ცხინვალზე იერიშს ორი მხრიდან მიიტანდა და მის ალყაში მოქცევას შეეცდებოდა. ამით სეპარატისტული ხელისუფლების პარალიზებას მოახდენდა და ე. კოკოითის მოსკოვში გაქცევას შეუწყობდა ხელს; ე)მ. სააკაშვილის ბრძანებით სამხედრო ჰოსპიტალის გორში გადატანით, "სამხრეთ ოსეთის" ხელისუფლებაზე ფსიქოლოგიური ზეწოლა განხორციელდებოდა. მეორე მხრივ, საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, დაჭრილთა მიღებისა და მათდამი დახმარების შესაძლებლობა გორში შეიქმნებოდა;

ვარიანტი II: ა)ქართული ჯარები, პოზიციების დაკავებას ჰუმანიტარული საბაბით განხორციელდებოდა და ამ ფაქტით, ქართული მხარე აგრესიის რეალურ სახეს გადაფარავდა; ბ)სპეცდანიშნულების ძალების მოზიდვის საფუძველზე, პოლიცია და ქართული სახალხო დაუმორჩილებლობის ძალები, სატრანსპორტო მაგისტრალზე უზრუნველყოფდნენ კონტროლის დამყარებას. სრული მობილიზაციის შემთხვევაში, როკის, მამისონისა და ჯავას გადასასვლელების გადაკეტვის შესაძლებლობა მიეცემოდათ; გ)მოვლენების მიმდინარეობის დროს, საჰაერო გზით გამოყენებული იქნებოდა მე-16 სამთო-მსროლელი ბრიგადა, რომელიც ოსების დაუმორჩილებელი კერების ჩახშობას მოახდენდა; დ) ორივე ვარიანტის შემთხვევაში, სამშვიდობო ბატალიონისა და რუსული ჯარების ქვედანაყოფების ბლოკადა განხორციელდებოდა.

იმავე ანატოლი ციგანკოვის თქმით, ქართული მხარის მიერ აღნიშნული სამხედრო ოპერაცია ზამთარში უნდა დაწყებულიყო. მიუხედავად ამისა, იგი გამოთქვამდა ვარაუდს იმის შესახებ, რომ სანამ მ. სააკაშვილი არ მიაღწევდა რუსული სამხედრო შეიარაღებული ძალების "სამხრეთ ოსეთიდან" გაყვანას, მანამდე იგი ომს არ დაიწყებდა ცხინვალის ხელისუფლების წინააღმდეგ.[8] სამწუხაროდ, ამ გეგმასთან მიმართებაში, საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი უწყების მხრიდან მაღალკვალიფიციურ დონეზე რეაგირება არ მომხდარა. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ იმ პერიოდის პრესის ფურცლებზე შესაბამისი ინფორმაცია არ დაბეჭდილა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, მხოლოდ თითო- ოროლა ჟურნალისტი აქტიურობდა. აქედან გამომდინარ, ჯერ-ჯერობით გაურკვეველი რჩება: ეს გეგმა, ოს-ქართველთა სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩიხში შეყვანის მიზნით, რუსული სამხედროების მიერ იყო

საგანგებოდ შედგენილი და ქართული მხარისადმი ბრალდების ფორმით თავსმოხვეული თუ, რუსული სპეცსამსახურების მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტიდან იყო მოპარული და საჯაროდ გახმოვანებული. ამ ეტაპზე ხელჩასაჭიდ ოფიციალურ დოკუმენტზე წვდომის შეუძლებლობის გამო, კონკრეტული სახის მტკიცებულებაზე საუბარი მიუღებლად მიგვაჩნია. სასურველი იყო, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამის უწყებას ზემოაღნიშნულ გეგმასთან მიმართებაში- მისი წარმომავლობის შესახებ თავისი შეხედულება საჯაროდ გამოეთქვა.

რაც შეეხება რუსული პრესის ფურცლებზე დაბეჭდილ პუბლიკაციებს, მასში, ქართული მხარის მიერ ცხინვალის მიმართულებით განხორციელებული სამხედრო მოქმედებები გარდუვალ დამარცხებადაა გამოცხადებული. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დსთეს ქვეყნების ინსტიტუტის ექსპერტის მიხეილ ალექსანდროვის გამაფრთხილებელი პროგნოზირება ქართული ჯარის გარდუვალი დამარცხების შესახებ. იმავდროულად იგი რუსული ჯარისგან თბილისის აღების და საქართველოში რუსეთის საბოლოო გამარჯვების შესაძლებლობსაც არ გამორიცხავდა. გეოპოლიტიკური პრობლემების შემსწავლელი აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ვლადიმერ ანიოხინის მტკიცებით, პროვოკაციებში მ. სააკაშვილის აქტიური მონაწილეობის მიზანს, მსოფლიოს თვალში, რუსეთის მსხვერპლად საქართველოს წარმოჩენით იყო განპირობებული. საინფორმაციო ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელის ექსპერტ ალექსი ვლასოვის აზრით, პირველ ეტაპზე მ. სააკაშვილი ორმაგი თამაშის პოლიტიკურ კურსს ატარებდა, რითაც საქმე მაქსიმალურ დაძაბულობამდე მიიყვანა, ხოლო ამის შემდეგ უკან დაიხია და კარგად გამართული საინფორმაციო პოლიტიკით, მისი რენომეს გადარჩენას შეეცადა. იმავე ა. ვლასოვის "მტკიცებით", "სამხრეთ ოსეთში" შეიარაღებული დაპირისპირების განახლება, მ. სააკაშვილისთვის ხელსაყრელი არ იყო, მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ იმ ეტაპზე საქართველო ვერანაირ სარგებელს ვერ ნახავდა სამხედრო თვალსაზრისით. [9] ამ ფონზე, მიმდინარე პროცესებს უკეთებდა რა ანალიზს, ალექსი ვლასოვი პრინციპულად აყენებდა საკითხს, რომ საინფორმაციო ომში, რუსეთს გამარჯვება მოეპოვებინა საქართველოზე და დაემტკიცებინა, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული მოუფიქრებელი მიმდინარე პოლიტიკა, საშიში შედეგის მომტანი იქნებოდა ქართველებისთვის. მისივე თქმით, ამ საკითხში ქართული ტელევიზია ჯაბნიდა რუსეთისას, რადგან "რუსული ტელევიზია მოქმედებდა გვიანი საბჭოური იმპერიის სულისკვეთებით. "

რაც შეეხება რუსეთის სათათბიროს უშიშროების კომიტეტის წევრს გენადი გუტკოვს, მან რუსეთთან მიმართებაში ოფიციალურად განაცხადა: "რუსეთმა უნდა გამოარკვიოს თავისი ურთიერთობა თვითმპყრობელ რესპუბლიკებთან. ერთი მხრივ, ჩვენ ვცნობთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მეორეს მხრივ კი ყოველმხრივ ვეხმარებით თვითაღიარებულ რესპუბლიკებს, ვურიგებთ იქ მცხოვრებ ადამიანებს რუსეთის მოქალაქეობას. ასეთ მდგომარეობაში დიდი ხნით ყოფნა ძალზედ რთულია... დროა დაესვას წერტილი ყოველივე ამას. მით უმეტეს, რომ კრიზისული მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდება და რუსეთს სულ უფრო გაუჭირდება ამ ჩიხიდან თავის დაღწევა. განზე გადგომა არ შეიძლება, ჩარევაც შეუძლებელია, რადგან მაშინ რუსეთი გახდება კონფლიქტის უშუალო მონაწილე მხარე. "[10]

რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით, სეპარატისტთა განსაკუთრებული გააქტიურება და რუსეთთან დაპირისპირების შემთხვევაში საქართველოს მარცხის გარდუვალობის პროგნოზირება, ქართველი პოლიტიკოსების საომარი რიტორიკით უნდა ყოფილიყო განპირობებული. მეორე მხრივ, მათ მიზანს, იმ რალობის მინიშნებაც წარმოადგენდა, რომ ქართველების მხრიდან ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დაწყებას, რუსეთის მხრიდან ამ ომში აქტიური ჩარევა მოყვებოდა. იმ პერიოდის პრესის ფურცლებზე ოფიციალურად გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, რომ სატელევიზიო არხებითა და პრესის მეშვეობით საქართველოს თავდაცვის მინისტრის იარკლი ოქრუაშვილის მხრიდან ომის რიტორიკის გამო, ედუარდ კოკოითმა იმისი თავი ნახევარ მილიონ დოლარად შეაფასა. ამ ფაქტის შესახებ, "როსბალტის" საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" თავდაცვის მინისტრმა ანატოლი ბარანკევიჩმა, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლებთან ერთად გამართულ თათბირზე (2006 წლის აგვისტო) ირაკლი ოქრუაშვილის ფიზიკური ლიკვიდაციის საკითხი განიხილა. ამასთან დაკავშირებით, იგივე საინფორმაციო სააგენტო იტყობინებოდა, რომ "კოკოითის და მის გარემომცველ პირებს პანიკურად ეშინოდათ სწორედ ოქრუაშვილის. ცხინვალის ტელევიზიით დღეში რამდენჯერმე ავრცელებდნენ დეზინფორმაციებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის შესახებ. ცხინვალის ხელისუფლების ემისრებმა ყველა საველე მეთაურს შეატყობინეს, რომ ის, ვინც მოკლავს ოქრუაშვილს, ჯილდოს სახით მიიღებთ 500 ათას ამერიკულ დოლარს. "[11]

ჩვენს მიერ მოტანილი ეს ინფორმაცია სიმართლეს თუკი შეესაბამება, მაშინ ი. ოქრუაშვილის ფაქტორი არა მარტო "სამხრეთ ოსეთის" კოკოითის ხელისუფლებისთვის იყო პრობლემა, არამედ იგი რუსეთის მაშინდელი მმართველი წრეებისთვისაც ანალოგიური სახის თავსატეხს წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში, ისევ უნდა მივუბრუნდეთ რუსი

ექსპერტების მიერ გამაფრთხილებელი ფორმით გაკეთებული პროგნოზირებადი ხასიათის ზემოთ მოტანილ განცხადებებს: "თუკი ცხინვალის წინააღმდეგ საქართველო საომარ მოქმედებებს დაიწყებს, რუსეთის შეიარაღებული ძალები ამ პროცესში ჩაერთვება და საქართველო უდიდესი ზიანის საფასურად დამარცხდება."

იმ პერიოდის მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებიდან და სამხრეთ კავკასიაში ცხინვალის რეგიონის განსაკუთრებული გეოსტრატეგიული ფაქტორიდან გამომდინარე, საქართველოს სამუდამოდ დამარცხება რუსეთისათვის სანატრელი იყო. ამის თქმის შესაძლებლობას, რუსეთის მიერ ყოფილი "სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქის ტერიტორიის "შემოღობვის" მიმდინარე ღონისძიებები და საქართველოს კუთვნილი ტერიტორიის "მისაკუთრების" მცდელობის ფაქტები ადასტურებს. ამ ფონზე თუკი განვიხილავთ ი. ოქრუაშვილის მოცილების აუცილებლობის საკითხის დასმას, იგი მხოლოდ ერთადერთი გარემოებით უნდა ყოფილიყო განპირობებული: მხედველობაში გვაქვს ცხინვალის რეგიონში ქართული შეიარაღებული ძალების მხრიდან საომარი ოპერაციების დაწყების მოსალოდნელი შემთხვევა და ოსი სეპარატისტების მხარდასაჭერად რუსეთის შეიარაღებული ძალების ოფიციალურად ვერჩაბმის დიდი ალბათობა. თუკი რუსეთის შეიარაღებული ძალები საქართველოსთან მიმართებაში ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებდა, საომარ რელსებზე შემდგარი ირაკლი ოქრუაშვილი, თავისი დანაქადების- საახალწლოდ 2007 წლის ცხინვალში გათენებას შეძლებდა.

თუ რა გამოწვევები იდგა რუსეთის ხელისუფლებისა და და თვით რუსი ექსპერტების წინაშე, ამის შესახებ დაწვრილებით გვექნება საუბარი როცა ვლადიმერ სანაკოევის პიროვნებას და მის მიერ დაფუძნებულ ახალ მოძრაობას "სამხრეთ ოსეთის ხალხი მშვიდობისათვის" შევეხებით. რაც შეეხება ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების წინააღმდეგ ნებისმიერი ფორმით მოქმედების მიზანშეწონილობას და რეგიონზე საქართბველოს სტატუს-ქვოს აღდგენის აუცილებლობას, გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის ყოველწლიურ 61- ე სესიაზე სიტყვით გამოსულმა მ. სააკაშვილმა გაახმოვანა. ყოველგვარი ქვეტექსტების გარეშე, მან დარბაზში მსხდომთა წინაშე პრინციპულად დასვა შეკითხვა: "მინდა თითოეულ თქვენთაგანს შევეკითხო, თუ ამ უდიდეს დარბაზში მსხდომი ნებისმიერი წევრი ნუთუ მიესალმება ან შემწყნარებლურად მოეკიდება მსგავსი ძალის შემოჭრას საკუთარ მიწაზე? პირადად მე, ეს ძალიან მეეჭვება. დიახ, ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით და ჩვენ უნდა მივიღოთ აუცილებელი ზომები კონსოლიდაციისა და დემოკრატიის დაცვის მიზნით.

არასდროს დავივიწყოთ, რომ ამ კონფლიქტების რეალური მსხვერპლი ხალხია და შიში რომელშიაც მათ უწევთ ცხოვრება- ყოვლისმომცველელია. მათ ტანჯვას ბოლო უნდა მოეღოს."

დემოკრატიის დაცვისა და კონფლიქტურ რეგიონებში ხალხის ტანჯვის ბოლოსმოღების ერთადერთ საშუალებად, მ. სააკაშვილი საომარი ოპერაციების დაწყებას მიიჩნევდა. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ იმ პერიოდის ქართველი ექსპერტების ვარაუდით, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთი საომარი მოქმედებებაში ჩაბმას ვერ გაბედავდა. ამის შესახებ ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი აცხადებდა: "საომარი მოქმედებების დაწყებას ვერ გაბედავს- ახლა ის დრო აღარ არის, რაიმე სანქციების შემოღება კი- ვიზების გაცემის შეწყვეტა, ეკონომიკური ან ენერგეტიკული ბლოკადა- ეფექტს ვერ მოიტანს."

რაც შეეხება ცხინვალის რეგიონის დეფაქტო ე. კოკოითის ხელისუფლების და რუსეთის წარმომადგენლების მხრიდან ატეხილ აჟიოტაჟს იმის შესახებ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ქართული ჯარისთვის იარაღს იძენდა და საომრად ემზადებოდა, სინამდვილის ხელოვნურად გამუქებას და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურებოდა. ამის უტყუარ დადასტურებას, სამხედრო ექსპერტის ალექსი ბარბაქაძის მიერ გაზეთ "რეზონანსის" კორესპოდენტის ელზა წიკლაურისადმი მიცემული ინტერვიუ წარმოადგენს. "იარაღის შეძენა- ამბობდა ა. ბარბაქაძე,- არ ნიშნავს, რომ საქართველო ომის დაწყებას აპირებს. როდესაც ფართომასშტაბიან ოპერაციაზე საუბრობენ, მოდით ვნახოთ, რამდენი ბატალიონი და ბრიგადა დაკომპლექტდება ამ ტექნიკით? ორი ტექნიკა იმას ნიშნავს, რომ საქართველო ომისთვის ემზადება? ეს არის ჩვეულებრივი პროცესი და თუ ომზე იყო ლაპარაკი, ამ ტექნიკის გარეშეც შეეძლოთ საომარი მოქმედებები დაეწყო. თვითონ ის ფაქტი, რომ ვიღაცა თავისი შეიარაღებული ძალების გაძლიერებაზე ფიქრობს, იმას არ ნიშნავს, რომ ის სხვას საფრთხეს უქმნის. ასე რომ საქართველო ომისთვის მზად არ არის და პირადად მე ვერც ვხედავ სერიოზულ სამზადისს."[12]

ანალოგიური სახის შეხედულება გამოთქვა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში სამხედრო ექსპერტმა კობა ლიკლიკაძემაც. მისი სამართლიანი მტკიცებით, იარაღის შეძენა, ქვეყნის საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთვის მზადებას არ ნიშნავს. "საქართველოში ბოლოს და ბოლოს ივსება ის კვოტები, რაც აქამდე ცარიელი იყო. თავისთავად სამხედრო ტექნიკის შემოტანა და ბიუჯეტის ზრდა არ არის ცხადი ინდიკატორი იმისა, რომ ქვეყანა საომარი მოქმედებისთვის ემზადება...

მოლაპარაკების მაგიდასთან თუ შეთანხმება არ მოხდება, ცდუნება იმისა, რომ ვიღაცამ იარაღი ააჟღარუნოს... ცხინვალის თავზე ყოველთვის იქნება. ნებისმიერი ხელისუფლებისთვის იქნება სი-

სუსტის მაჩვენებელი და საკუთარი მოსახლეობის ნდობას დაკარგავს, თუ გამუდმებით ილაპარაკებს სამშვიდობო ინიციატივაზე, შესთავაზებს წინადადებებს კონფლიქტის მეორე მხარეს, მაგრამ მათგან მიიღებს იგნორირებას. სააკაშვილი კი არ არის ის ადამიანი ვინც ავტორიტეტის დაკარგვას შეეგუება. ამიტომ, ეს ორი მომენტი, თავისთავად ჩიხური ვითარებაა და შესაძლებელია კვანძი არათუ გაიხსნას, არამედ გადაიჭრას, ანუ გამოყენებული იყოს სამხედრო ძალა. " ამ ამონაწერში გარკვევითაა ნათქვამი, რომ სამხედრო ძალის გამოყენების იძულებას კონფლიქტური რეგიონების წარმომადგენლებთან გაუთავებელი და უშედეგო მოლაპარაკებები განაპირობებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ისტორიულად საქართველოს ტერიტორიაზე ბოლშევიკების ძალისხმევით 1922 წელს სოკოსავით აღმოცენებულ "სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქის მოსახლეობას, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ფარგლებში ავტონომიური უფლებების რამდენიმე ვარიანტი შესთავაზეს. ისიც ცნობილია, რომ ეს უფლებები უფრო მაღალი დონის იყო ვინემ, რუსეთის ფედერაციაში არსებულ ჩრდილო ოსეთის მოსახლეობას გააჩნდა. მიუხედავად ამისა, რუსეთის ხელისუფლების თანადგომითა და წამქეზებლური "საკონსულტაციო გაკვეთილების" მიღების შემდეგ, ე. კოკოითის ხელისუფლება უარს აცხადებდა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან შეთავაზებულ- თუნდაც "სამხრეთ ოსეთის" ფორმულირებით ფართო ავტონომიურ უფლებებზე საქართველოს ფარგლებში. სამეცნიერო ლიტერატურითა და შესაბამისი დოკუმენტური მასალებით დადასტურებულია, რომ ამ ე. წ. მოლაპარაკებებმა და ფსევდო შეთანხმებებმა უსასრულობისა და დროის მიზანმიმართულად "გაჭიმვის" სახე მიიღო. ეს გარემოება წარმოადგენდა იმ ერთ-ერთ ფაქტორთაგანს, რომელმაც ე. კოკოითის სეპარატისტულ რეჟიმთან მიმართებაში, საქართველოს ხელისუფლების ხისტი პოლიტიკური კურსი განაპირობა. დროთა განმავლობაში იგი საომარ რიტორიკაში გადაიზარდა და რუსეთის საინფორმაციო საშუალებებისგან ფართომასშტაბიანი პროპაგანდის საგანი გახდა. ეს ფაქტორი დაედო საფუძვლად ოსი სეპარატისტებისგან შეიარაღებაზე ყურადღების გადატანას და ამ საქმეში რუსეთის დამსახურების განსაკუთრებულ როლს. ამ მიმართულებით პირველი პრაგმატული ნაბიჯი, ცხინვალის რეგიონის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ 2004 წლის ზაფხულში გადადგა. მხედველობაში გვაქვს "სამხრეთ ოსეთის სახალხო ლაშქრაის" შექმნის ფაქტი. ისიც ცნობილია, რომ ამ "სახალხო ლაშქარს" ე. კოკოითი შესაბამის ხელფასსაც უხდიდა. აქედან გამომდინარე, ცხინვალის სეპარატისტულ ხელისუფლებას მათი შენახვა საკმაოდ ძვირი უჯდებოდა. პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი საჯარო ინფორმაციის მიხედვით, "სახალხო ლაშქარის" ხელმძღვანელები ფინანსურად მომგებიან თანამდებობებს იკავებდნენ. მაგალითად: ცხინვალის დეფაქტო ხელისუფლების საბაჟოს უფროსად კოტე კაბისოვი იყო დანიშნული. იგი თავისი "მოხალისეებით" მამისაანთ უბნიდან სოფელ ნიქოზამდე არსებულ ტერიტორიას აკონტროლებდა. აღნიშნული ტერიტორია 46 კვადრატად იყო დაყოფილი და თითოეულ მათგანში სამი ადამიანის შემადგენლობით მუდმივი საგუშაგო ფუნქციონირებდა. ისიც ცნობილია, რომ კოტე კაბისოვის დაჯგუფება 200- დან 300- მდე "მოხალისეს" აერთიანებდა.

რაც შეეხება "მოხალისეების" შტაბის ხელმძღვანელს ბოთარას ბიჩინოევს, მამისაანთ უბანში ბაღების ქუჩაზე არსებული უსინათლოთა საზოგადოების შენობა ქონდა დაკავებული. იმავე შტაბის დაქვემდებარებაში იყო ფრისის მთიდან- ერედვის ეკლესიამდე გათხრილ სანგრებში მყოფი 20 კაციანი შეიარაღებული დაჯგუფება. რაც შეეხება ცხინვალის ბამის დასახლებას, ცხინვალის სადგურის უფროსის ბალა ბესტაევის დაჯგუფება აკონტროლებდა. იმავდროულად იგი ცხინვალის ჩრდილოეთით და სამხრეთით განლაგებულ "სახალხო ლაშქარსაც" უწევდა ზედამხედველობას.

ცხინვალსა და თამარაშენს შორის არსებულ სანგრებში "აბარონას" წევრები იყო განლაგებული. ამ მონაკვეთის ყველა სტრატეგიულ სიმაღლეს ისინი აკონტროლებდნენ. ერგნეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, კარგად ორგანიზებული ხეთაგუროვის 120 კაციანი დაჯგუფება იყო დაყენებული. ხოლო სოფელ ერედვის ზემოთ არსებული სიმაღლის დაცვა ჩრდილოეთ ოსეთიდან გადმოსულ 30 კაციან დაჯგუფებას ჰქონდა მინდობილი.

თამარაშენ-ბამის საზღვარზე ვოვა ქელეხსაროვის ხელმძღვანელობით "სახალხო ლაშქრის" წარმომადგენლები იყო ჩაყენებული. ცხინვალის ეგრეთ წოდებული ტექსტილის რაიონის ზონის თავდაცვით თხრილებში დიმა ტასოევის ხელმძღვანელობით "მოხალისეთა" რაზმის წევრები იდგა.

ოფიციალური ინფერმაციით, ცხინვალის საკონსერვო ქარხნის ტერიტორიაზე "გადამალული" მძიმე ტექნიკა იდგა. ხოლო ხეითის ეკლესიის ტერიტორიაზე "სახალხო ლაშქარის" ხელმძღვანელების სათვალთვალო პუნქტი ფუნქციონირებდა.

ჩვენს მიერ მოტანილი ზემოაღნიშნული ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ ე. კოკოითი მეტნაკლებად თავდაცვისთვის ემზადებოდა. ისიც ცნობილია, რომ "სახალხო ლასქარი", რომლის გამოყენებასაც იგი დასაყრდენ ძალად მოიაზრებდა, ხელფასების გადაუხდელობიდან გამომდინარე, მასვე დაუპირისპირდა. ეს გახდა იმ ბრძანების გამოცემის ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც "სახალხო ლაშქრის" განიარაღებას დაედო საფუძვლად. ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული ბრძანების გამოცემა ორი გარემოებით იყო განპირობებული: 1)ე. კოკოითი 2006 წლის საპრე-

ზიდენტო არჩევნებისთვის ემზადებოდა და საზოგადოების წინაშე სურდა თავი კრიმინალურ სამყაროსთან მებრძოლ ადამიანად წარმოეჩინა. არსებული ინფორმაციის მიხედვით, ე. კოკოითის მიზანს ჯავას რაიონის მოსახლეობის იმ ნაწილის მიმხრობა წარმოადგენდა, რომლებიც ქარქუსოვების მხარდამჭერნი იყვნენ. მეორე მხრივ, იმ ეტაპზე ჯავას რაიონში განლაგებული "სახალხო ლაშქარის" შეიარაღებული დაჯგუფებები, ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვითა და სხვა ძალადობრივი ქმედებებით გამოირჩეოდნენ; 2)ე. კოკოითის მიზანი იყო უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების მხრიდან მოსალოდნელი შეიარაღებული გადატრიალების თავიდან აცილება.

ე. კოკოითის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას დადებითი შეფასება მისცა სახელმწიფო მინისტრის მოადგილენ გიორგი ვოლსკიმ. მისი თქმით, "კოკოითი ცდილობს საერთაშორისო თანამეგობრობას, საზოგადოებას და მათ შორის ქართულ საზოგადოებას დაანახოს თავისი "ნათელი მხარე", თუმცა მეორე საკითხია, თუ რისთვის სჭირდება ეს კოკოითს- არჩევნებისთვის, თუ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მისი უსაფრთხოების გარანტიისათვის.

"აბარონა" ჩამოყალიბდა იმ ძალად, რომელიც ხელს უშლის შეთანხმებების, მათ შორის საერთაშორისო შეთანხმებების რეალიზაციას. მე თქვენ გარწმუნებთ, რომ საერთაშორისო ძალა საკმაოდ მძლავრია იმისთვის, რომ დემილიტარიზაციის პროცესს რეალური განვითარება მისცეს. "[13]

ამ ამონაწერის მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, "სახალხო ლაშქარის" განიარაღების ბრძანების ფაქტი, ოს სეპარატისტებს, რეგიონის დემილიტარიზაციის აფიშირებისთვისაც შეეძლო გამოეყენებინა. იმ ეტაპზე პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ოფიციალური მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ე. კოკოითს ზემოაღნიშნული ბრძანება ფარატინა ქაღალდად იქცა, რადგან "მოხალისეთა ლაშქარის" საბოლოო განიარაღება ე. კოკოითმა ვერ შეძლო. ისიც ცნობილია, რომ იმავე ე. კოკოითმა, მის დაქვემდებარებაში არსებული შეიარაღებული ძალების 30% შეამცირა. ამ საკითხთან მიმართებაში უაღრესად საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ირაკლი სესიაშვილს. მისი მტკიცებით, ე. კოკოითის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი რუსეთის ხელისუფლების მხრიდან იყო ნაკარნახევი, თორემ მას შეიარაღებული ძალების შემცირება-გაზრდის საკითხს არავინ ეკითხებოდა. ამასთან დაკავშირებით გაზეთ "რეზონანსის" კორესპოდენტ თამთა ქარჩავასადმი მიცემულ ინტერვიუში ი. სესიაშვილი ამბობდა: "ეს არაა კოკოითის მიღებული გადაწყვეტილება, იგი შეიძლება ჩაითვალოს რუსეთის მხრიდან სხვა თამაშის წამოსაწყებად, ვინაიდან რუსეთი ხვდება, რომ ძალისმიერ პოზიციებს კარგავს სამხრეთ კავკასიაში. ამდენად ის შეეცდება საერთაშორისო ორგანიზაციებთან სავაჭრო თემად გახადოს, რომ რუსეთს სამშვიდობო პროცესი რეგიონში არსებული შეიარაღებული კონტინგენტის შემცირების ხელშეწყობისკენ მიჰყავს. " ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ეს შემცირების საკითხი არ შეხებია მილიციის სისტემაში არსებულ ბესტაევას დაქვემდებარებაში მოქმედ "მოხალისეებს" და ჩრდილო კავკასიელ დაქირავებულ ბოევიკებს, რომლებსაც ე. კოკოითის სეპარატისტული რეჟიმი ხელფასს უხდიდა. ასეთი სახის დაჯგუფებების შენარჩუნებით თვით რუსეთის ხელისუფლება იყო დაინტერესებული, რადგან მათი გამოყენება ნებისმიერ დროს შეეძლო თუკი იგივე ე. კოკოითი გაბედავდა და რუსეთის დაუკითხავად რაიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებდა. Eეს ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ აღნიშნული შეიარაღებული დაჯგუფებები, რომლებიც ფაქტობრივად ე. კოკოითს არ ემორჩილებოდნენ და მისადმი დაპირისპირებაში იმყოფებოდნენ, რუსეთის მხრიდან ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის მართვის ინსტრუმენტს წარმოადგენდა.

ცხინვალის რეგიონში შექმნილ ასეთ უმძიმეს ფონს, გამწვავებული კრიმინალური სიტუაციაც ემატებოდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2005 წლის დასაწყისში, რეგიონში კრიმინალური ვითარება მაქსიმალურად იყო დამძიმებული. გახშირდა მოსახლეობაზე ბანდიტური თავდასხმები, რასაც სეპარატისტების მიერ ადგილობრივი ოსური მოსახლეობისადმი თავის დროზე დარიგებული საბრძოლო იარაღი განაპირობებდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ქართული სოფლების მოსახლეობა იმყოფებოდა. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ცხინვალის რეგიონში თავისუფლად მოქმედებდა აცამაზ კოჩიევის კრიმინალური დაჯგუფება "აბარონა", რომლის შემადგენლობაშიაც 30- ზე მეტი შეიარაღებული ოსი იყო გაერთიანებული. დიდი ლიახვის მაჟორიტარი დეპუტატის გურამ ვახტანგიშვილის თქმით, აღნიშნული დაჯგუფება უმკაცრესი სისასტიკით გამოირჩეოდა და იგი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ მოქმედების ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენდა. მეორე მხრივ, აცამაზ კოჩიევი და მისი "აბარონა" ცხინვალში განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა.

ე. კოკოითისთვის შემაშფოთებელ ფაქტს, 2005 წლის 19 ნოემბერს ცხინვალის ციხიდან ძმების ჯემალ და იან ქარქუსოვების გაქცევა წარმოადგენდა. გურამ ვახტანგიშვილის ინფორმაციით, "ძმები ქარქუსოვების გაქცევით, შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეიზღუდოს ცხინვალის დეფაქტო პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის გავლენა. ძმები ქარქუსოვები უამრავ ინფორმაციას ფლობენ კოკოითის ბიზნესისა და ძალაუფლების შესახებ. გარდა ამისა, ქარქუსოვების გვარი მნიშვნელოვან კლანს წარმო-

ადგენს. თავად კოკოითი ფრთხილობს, რათა მის მიერ თვითგამოცხადებულ ხელისუფლებას ძლიერი ოპოზიციის სახით ამ გვარის წარმომადგენლები არ მოევლინოს. " აღნიშნული ინფორმაცია და ქარქუსოვების ციხიდან გაქცევის საქმეში საქართველოს ხელისუფლების სპეცსამსახურების მონაწილეობის ფაქტის, თვით ვანო მერაბიშვილის მიერ დადასტურება, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჯემალ და იან ქარქუსოვების ავტორიტეტისა და შესაძლებლობების გამოყენებას, საქართველოს ხელისუფლება ე. კოკოითის საწინააღმდეგოდ გეგმავდა.

აღნიშნულ ფაქტთან მიმართებაში გაზეთ "რეზონანსის" კორესპოდენტ თამთა ქარჩავასადმი მიცემულ ინტერვიუში მამუკა არეშიძე ამბობდა: "სიტუაციის გართულების თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, კოკოითის ხელისუფლებისთვის გამაღიზიანებელი ფაქტორი იყო ქარქუსოვების გაქცევა. კოკოითის ხელისუფლება შეშფოთებულია იმით, რომ ქალაქის ცენტრში ჩატარდა ოპერაცია, რომლის შედეგადაც კოკოითის პირადი მტრები გაიქცნენ ციხიდან. კოკოითისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შეინარჩუნოს გამარჯვებულის იმიჯი. მას ისეთი სილა გააწნეს ქარქუსოვების გაქცევით, რომ იგი საპასუხო ღონისძიებებს ატარებს. "

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ე. კოკოითის ხელისუფლების საპასუხო ღონისძიებები, ძირითადად რეგიონში განლაგებული ქართული პოლიციის საგუშაგოებზე თავდასხმაში გამოვლინდა. მხედველობაში გვაქვს ჯავიდან ცხინვალის მიმართულებით მოძრავი "უაზის" მარკის ავტომანქანიდან შეიარაღებული ოსური ფორმირებების მიერ ქურთას ქართული პოლიციის საგუშაგოსადმი ცეცხლის გახსნა. თამარაშენის პოლიციის საგუშაგოზე აღნიშნულ მანქანას გზა გადაუკეტეს და ორმხრივი სროლის შედეგად, სხეულის მძიმე დაზიანება სამმა პოლიციელმა მიიღო, რომელთაგან მძიმედ დაჭრილი როლანდ ხეთაშვილი გარდაიცვალა. რაც შეეხება თავდამსხმელ ოსებს, მათი მხრიდან ოთხი ადამიანი იქნა მოკლული, რომლებიც ცხინვალში გადაასვენეს.

შიდა ქართლის პოლიციის უფროსის ვლადიმერ ჯუღელის ინფორმაციით, კონფლიქტის ზონაში ოსების მიერ დამატებითი ძალები იქნა გადასროლილი. ეს ფაქტი, გიორგი ხაინდრავამ, კონფლიქტური რეგიონის დემილიტარიზაციის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებად შეაფასა. "ეს არის დემილიტარიზაციის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაცია. ვლადიკავკაზში დაგეგმილი შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე მხარეთა წარმომადგენლებს კონტროლის ზონის დემილიტარიზაციასთან დაკავშირებული საკითხებიც უნდა განეხილა. მომხდარი ინცინდენტი შესაძლოა იმათი ინსპირირებული იყოს, ვისთვისაც კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის პროცესის შემდგომი გაღრმავება მიუღებელია.

ჩვენ აუცილებლად უნდა ამოვიღოთ იარაღი მოსახლეობიდან, ყოველ შემთხვევაში იმ სახიფათო ჯგუფებიდან, რომლებიც ასეთ ვითარებას ქმნიან. პრინციპში საქმე გვაქვს კრიმინალთან. უნდა მოხდეს კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია, რადგანაც კონფლიქტის ზონაში საკმაოდ ბევრი იარაღია. ეს იარაღი კრიმინალების ხელშია და სწორედ კრიმინალების თარეშს მივყევართ ამ შედეგამდე. შეიარაღებული ადამიანების კონფლიქტის ზონაში ყოფნამ შესაძლოა ასეთივე ინცინდენტი გამოიწვიოს".

ამ ვრცელ ამონაწერში სავსებით სწორი მინიშნებაა გაკეთებული: ა)ვინ იყო ცხინვალის რეგიონში არასტაბილური სიტუაციის შენარჩუნებით დაინტერესებული; ბ)არაფორმალური ოსური შეიარაღებული დაჯგუფებებიდან იარაღის ამოღება უპირველეს ამოცანას რომ წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, იმავე გ. ხაინდრევასთვის ცნობილი იყო, რომ ნებაყოფლობით ოსები იარაღს არ ჩააბარებდა. აქედან გამომდინარე, აუცილებლობა ზემოქმედების შესაბამისი მექანიზმების ამოქმედებას საჭიროებდა. ამ ფონზე პირდაპირ უნდა თქმულიყო, ვინ იმსახურებდა დასმული პრობლემის გადაწყვეტისადმი ნდობას და კონკრეტულად ვის დაევალებოდა ეს საპასუხისმგებლო მისია. მეორე მხრივ, წინასწარ იყო გასარკვევი- ვის დარჩებოდა კრიმინალური დაჯგუფეფებისგან ამოღებული იარაღი, ქართულ მხარეს თუ კოკოითის სეპარატისტულ ხელისუფლებას. ამის შესახებ საქართველოს შესაბამისი უწყება დუმილს ამჯობინებდა. რაც შეეხება ზემოაღნიშნული საკითხების ოფიციალურად გახმოვანებას, მას არსებითი მნიშვნელობა ქონდა თუნდაც იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ კრიმინალური დაჯგუფებებისგან რეგიონში შექმნილი დაძაბული სიტუაცია, დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ქართული სოფლების მოსახლეობას უმძიმესი საფრთხის წინაშე აყენებდა. ეს რეალობა, ქართულ მხარეს პრაგმატული გადაწყვეტილებების მიღებას ავალდებულებდა. ოფიციალური დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ ამ ფაქტორმა განაპირობა ერგნეთის საგუშაგოზე ქართული საპოლიციო ძალების გაძლიერება და რაც მთავარია, ოსური ბანდფორმირებების მოძრაობის შეფერხების მიზნით, დიდი და პატარა ლიახვის ხეობების დამაკავშირებელი შემოვლითი გზის ჩაკეტვის აუცილებლობა.

რაც შეეხება სოფელ ქურთასთან მომხდარ ზემოაღნიშნულ ინცინდენტს, ეს საკითხი ცხინვალში გამართული შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა. სხდომაზე ე. კოკოითის სპეციალური განცხადება იქნა წაკითხული, რომელიც ქართულ მხარეს პროვოკაციის მოწყობაში ადანაშაულებდა. იმავე პოზიციას იცავდა ცხინვალის ხელისუფლების საგანგებო სიტუაციათა მინისტრი ბორის ჩოჩიევი. რაც შეეხება "სამხრეთ ოსეთის" პარლამენტის თავმჯდომარეს ზნაურ გასიევს, თათბირის შემაჯამებელ სხდომაზე ქურთაში მომხდარ მოვლენებში ქართული მხარე

დაადანაშაულა და მას "ქართული მხარის მიერ მოწყობილი უხეში პროვოკაცია" უწოდა. ანალოგიური ბრალდება დააფიქსირა "სამხრეთ ოსეთის" თავდაცვის მინისტრმა ანატოლი ბარანკევიჩმაც. იმავე თათბირზე საპასუხო სიტყვით გამოსულმა შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ვოვა ჯუღელმა ბრალმდებლებს დასაბუთებული პასუხი გასცა. "პროვოცირებას ვერანაირად ვერ მოვახდენდით-განაცხადა მან,- რადგანაც ინცინდენტი ჩვენს ტერიტორიაზე მოხდა. სამხედრო ავტომანქანა ოსური სამხედრო ნიშნით შემოვიდა ჩვენს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. რაც შეეხება ბარანკევიჩის განცხადებას, რომ ქურთას პოლიციის შენობას დაცხრილვის არანაირი ნიშნები არ ეტყობა, მინდა გითხრათ, რომ ეს არ შეესაბამება სიმართლეს. თუ სწორად გამიგებთ, მე საერთოდ არ მაინტერესებს მათ მიერ გაკეთებული განცხადება. იმ შემთხვევაში თუ ოსური მხრიდან კვლავ გახსნიან ცეცხლს, ანალოგიური მოხდება ჩვენი მხრიდან, თუმცა გაცილებით მეტის ლიკვიდაცია მოხდება. ეს ულტიმატუმი რჩება ძალაში და ყოველთვის ეგრე იქნება. "

რაც შეეხება ოსური მხარის მეორე ბრალდებასთითქოს სოფელ ნიქოზის ზონაში ქართველებმა 1000 სამხედრო შენაერთი განალაგა, ამ საკითხთან დაკავშირებით შერეული სამხედრო ძალების სარდალმა მარატ კულახმეტოვმა კატეგორიული ფორმით უარყო. მისი თქმით, "ხაინდრავასთან ერთად, გუშინ სამშვიდობოების მონიტორინგის ჯგუფი სოფელ ნიქოზში რამდენჯერმე იყო ჩასული და შეიარაღებული ქართველები არსად უნახავს. "[14]

სოფელ ქურთაში მომხდარი ინცინდენტის საკითხთან მიმართებაში, გაზეთ "რეზონანსის" კორესპოდენტის თამთა ქარჩავასადმი მიცემულ ინტერვიუში შიდა ქართლის პროკურორმა გურამ ბაბუციძემ განაცხადა: "ჩვენ შევთანხმდით, რომ ერთობლივი ოპერატიული ინფორმაციის გაცვლა მოხდებოდა ჩვენსა და ოსურ მხარეს შორის. არ ვადასტურებ იმას, თითქოსდა ცხედრებს ადგილი შეუცვალეს. შემთხვევის ადგილი დაათვალიერეს როგორც ოსური, ისე ქართული მხარის პროკურატურის გამომძიებლებმა. შემთხვევის ადგილზე ვნახეთ სისხლის კვალი, ამოვიღეთ მასალები, დავათვალიერეთ აღნიშნული ავტომანქანა. დაღუპული ოსები გადაიტანეს ცხინვალის პროზექტურაში, სადაც მათ ჩაუტარდათ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ პირველი გასროლა მოხდა სეპარატისტთა მხრიდან. ეს დასტურდება მოწმეთა ჩვენებებით. "[15]

აღნიშნული საკითხისადმი ჩვენი მხრიდან ასეთი სიღრმისეული მიდგომა იმით არის განპირობებული, რომ მკითხველს ვაჩვენოთ თუ რა დონის მცდარ ინფორმაციაზე დაფუძნებულ ბრალდებებს უყენებდა ოსი სეპარატისტები ქართულ მხარეს. მეორე მხრივ, აუცილებლობას წარმოადგენდა გვეჩვენებინა, რა დადებითი შედეგის მოტანა შეეძლო ამა თუ იმ სადაო საკითხთან მიმართებაში ორმხრივი (ქართულ-ოსური) საგამოძიებო კომისიის შექმნას და ერთობლივი მუშაობით სინამდვილის დადგენას. ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა სოფელ ქურთაში მომხდარი ინცინდენტის ერთობლივი გამოძიების შედეგად ზემოაღნიშნული დასკვნის დადება. სამწუხაროდ, ასეთი ერთობლივი საგამოძიებო კომისიების შექმნაზე ოსური მხარე უმეტესწილად უარს აცხადებდა. მათი ეს ქმედება, ოსურ საზოგადოებაზე ერთჯერად იდეოლოგიურ ზემოქმედებაზე იყო გათვლილი და არა ჭეშმარიტების დადგენაზე, ან დამნაშავის ვინაობის გარკვევაზე და საზოგადოებისადმი უტყუარი ინფორმაციის მიწოდებაზე. ეს მანკიერი თვისება, ოსი სეპარატისტების ცნობიერებაში საფუძვლიანად ჩაიკირა და იგი დღესაც გრძელდება. მხედველობაში გვაქვს ქართველი ერისადმი უსაფუძვლოდ წაყენებული ბრალდება "ოსების გენოციდის" შესახებ. ამ საკითხთან მიმართებაში პროფ. შოთა ვადაჭკორიამ ვრცელი მონოგრაფია დაბეჭდა და დაინტერესებულ მკითხველს მისი გაცნობა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეუძლია. [16]

ზემოაღნიშნული ბრალდებებით იყო დატვირთული ძარის გზაზე 2005 წლის 2 დეკემბერს მომხდარი ინცინდენტი. ოფიციალური ინფორმაციით, იმ ეტაპზე ძარის შემოვლით გზას ოსები აკონტროლებდა და ოსებისგან ამ კონტროლირებად ტერიტორიაზე სროლა ერთი საათის განმავლობაში გრძელდებოდა. ე. კოკოითის მიერ მოსკოვში პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადება და იმავე პრესკონფერენციის დამთავრებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, წინა ინფორმაციის საწინააღმდეგო ახალი ინფორმაციის გავრცელებით დადასტურდა, რომ ქართველებისადმი წაყენებულ ბრალდებასთან მიმართებაში, ოსური მხარე სრულფასოვნად არ იყო ჩამოყალიბებული. რაც შეეხება შერეული სამხედრო ძალების სარდალს მარატ კულახმეტოვს, გიორგი ხაინდრავასთან სატელეფონო საუბარში განაცხადა, რომ ძარას გზაზე მომხდარ ინცინდენტთან მიმართებაში არანაირ ინფორმაციას არ ფლობდა. ამ ფაქტს უკეთებდა რა ანალიზს გიორგი ხაინდრავა გაზეთ "რეზონანსისადმი" მიცემულ ინტერვიუში დასძენდა: "რაც შეეხება ძარას გზას, ამ გზას ისინი ყოველთვის როგორც საკუთარ გულ-ღვიძლს ისე უფრთხილდებოდნენ. ეს არის ერთადერთი გზა, რომლის საშუალებით მათ აქვთ შესაძლებლობა ქართული სოფლების გვერდის ავლით მოხვდნენ ცხინვალში. მე ვგულისხმობ შეიარაღებას და ტექნიკას, რომელიც იქედან შემოედინება. " აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, უფრო დაზუსტებული და კონკრეტული ინფორმაცია მიაწოდა მკითხველ საზოგადოებას გურამ ვახტანგიშვილმა. მისი ინფორმაციით "შეტაკება მოხდა "სახალხო ლაშქარსა" და კოკოითის სპეცრაზმს შორის. როგორც მე მაქვს ინფორმაცია, რაღაცა ტვირთი ვერ გაიყვეს. ის, რასაც ოსური

მხარე ამბობს, რომ თითქოსდა სროლები ქართული სოფლების მხრიდან მიმდინარეობდა ძარას მიმართულებით, ეს არის სრული აბსურდი. ძარა ისეთ ადგილას მდებარეობს, რომ იქ ჩვენები ვერანაირად ვერ უდგებიან."

ქართველების მიერ ამ საკითხთან მიმართებაში ოსური მხარისადმი შეთავაზებულ ერთობლივ- ქართულ-ოსური საგამოძიებო ჯგუფის შექმნას, ოსმა სეპარატისტებმა უარით უპასუხა. საფიქრებელია, რომ ე. კოკოითის ხელისუფლებამ ჭეშმარიტების დადგენას თავი შეგნებულად აარიდა.

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტების ანალიზოიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ: 1) ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებზე პრეტენზიების მოხსნის სანაცვლოდ (მალტის გარიგება 1989 წლის 2-3 დეკემბერი), სსრ კავშირის შემადგენლობაში დარჩენილ რესპუბლიკებზე მ. გორბაჩოვისადმი შეუზრუდავი უფლებების მიცემა, მაქსიმალურად გათვალისწინებას საჭიროებდა. არსებული რეალობა, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს მაკიაველიზმისა და ტალეირანის მეთოდების სინთეზით დატვირთული პოლიტიკური კურსის გატარებას ავალდებულებდა.

ი. ოქრუაშვილის მხრიდან ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში "კუნთების თამაშით" ოს სეპარატისტებზე ზემოქმედების მცდელობა, ოს-ქართველთა განახლებულ საომარ მოქმედებებში რუსეთის ჩართულობის მაღალი ალბათობიდან გამომდინარე შეცდომას წარმოადგენდა.

2)საქართველოს ხელისუფლებისგან როკის გვირაბის ჩამკეტი ან მასზე კონტროლის მექანიზმის ამოქმედების მუქარანარევი ოფიციალური განცხადებები, საზოგადოებაზე იდეოლოგიურ-ფსიქოლოგიურ ზემოქმედებად და გარკვეული დოზით, ოსი სეპარატისტებისადმი თავდაცვითი ღონისძიებების გატარებაზე ბიძგის მიმცემ ფაქტორად უნდა შეფასდეს.

"სამხრეთ ოსეთის" თავდაცვის მინისტრის ა. ბარანკევიჩისგან ცხინვალზე ქართული ჯარის ზამთარში თავდასხმის გეგმის გახმოვანება და ამ ფაქტისადმი საქართველოს შესაბამისი უწყების დუმილი, ლეგიტიმურ კითხვებს აჩენს: ა)აღნიშნული ბრალდებითი გეგმა, რუსი სამხედროების მიერ იყო შედგენილი და ოს-ქართველთა მოლაპარაკებების ჩიხში შეყვანას ისახავდა მიზნად თუ ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტიდან მოიპარეს. ამ კითხვებზე დასაბუთებული პასუხის გაცემის აუცილებლობას, გაეროს 61-ე სესიაზე მ. სააკაშვილის მიერ ოსი სეპარატისტების წინააღმდეგ საომარი მოქმედებების შესაძლო დაწყების გახმოვანების ფაქტი იძლევა.

3)საქართველოს ხელისუფლების საომარი რიტორიკა დაედო საფუძვლად ოსი სეპარატისტებისგან "სახალხო ლაშქარის" შექმნას და ცხინვალის გარშემო სტრატეგიული სიმაღლეების დაკავებას. იმავე რეგიონში თავისუფლად მოქმედი აცამაზ კოჩიევის კრიმინალური დაჯგუფების "აბარონას" და სხვათა დანაშაულებრივი ქმედებების შესასწავლად, საქართველოს წარმომადგენლებისგან ქართულ- ოსური ორმხრივი საგამოძიებო კომისიის შექმნაზე, ოსი სეპარატისტებისგან კატეგორიული უარი, სიმართლის არდადგენაზე და ოსური საზოგადოების წინაშე ქართული მხარის ცალმხრივად დადანაშაულების შესაძლებლობის დატოვებაზე იყო გათვლილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ. მამრაძე. ავანტურა. 08. 08. 08. თბილისი. 2012 წელი. გვ. 12
2. დ. ჯოჯუა. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები. თბილისი. 2010 წელი. გვ. 70
3. გაზ. "მთელი კვირა". 2005 წ. 11 ივლისი. № 180
4. გაზ. "ჯორჯიან თაიმსი" 2006 წ. 12 ოქტომბერი. № 40
5. იქვე
6. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა" 2006 წ. 6 სექტემბერი. № 175
7. გაზ. "რეზონანზი" 2005 წ. 13 დეკემბერი. № 335
8. ბრძოლა ორ ფრონტზე- საქართველოში დაგეგმილი ომის რუსული გეგმა.
9. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა". 2006 წ. 7 სექტემბერი. № 176
10. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა". 2006 წ. 6 სექტემბერი. № 175
11. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა". 2006 წ. 7 სექტემბერი. № 176
12. გაზ. "რეზონანზი" 2005 წ. 1 დეკემბერი. № 323
13. გაზ. "მთელი კვირა" 2005 წ. 19 დეკემბერი. № 341
14. გაზ. "რეზონანზი" 2005 წ. 1 ივნისი. № 140
15. იქვე
16. შ. ვადაჭკორია. "ოსების გენოციდის" მითი და 1918- 2022 წლების ისტორიული სინამდვილის პარადიგმები. თბილისი. 2023 წ.